**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კასია

კასია

კასია (Cassia), მრავალწლოვანი ბალახის, ბუჩქების ან ტანდაბალი ხეების გვარი ცეზალპინიასებრთა ოჯახისა. 500–600 სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სამკურნ. მნიშვნელობა აქვს სინამაქის ხეს (C. acutifolia), რ-ის სამშობლოდ სუდანს მიიჩნევენ. მისი ერთწლიანი კულტურა გვხვდება შუა აზიასა და ყაზახეთში. საქართველოში ხარობს სუბტროპ. მცენარეთა სარტყელში. ბუჩქის სიმაღლე 1,5 მ აღწევს. სამკურნალოდ იხმარება მისი ფოთოლი, რ-იც „ალექსანდრიული ფოთლის“ (სინამაქის ფოთლის) ან სენას სახელით არის ცნობილი, აგრეთვე პარკი (ალექსანდრიული პარკი); შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს. ხ ი ა რ ი შ ა მ ბ ა რ ი, ანუ ხეჩერჩხელა (C. fistula) საქართველოში ეგვიპტიდან და ინდოეთიდან შემოჰქონდათ. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

***ნ. წუწუნავა***